ქირურგიის N1 დეპარტამენტი

პროფესორი ზაზა დემეტრაშვილი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი ვლადიმერ (მამუკა) გონჯილაშვილი

ასისტენტ-პროფესორი ირაკლი კაჭახიძე

ასისტენტ-პროფესორი კახი ხუციშვილი

ქირურგიის N1 დეპარტამენტი

ქირურგიის №1 დეპარტამენტი სათავეს იღებს 1933 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის ბაზაზე დაარსებული ზოგადი ქირურგიის კათედრიდან.
კათედრას 1933 – 1935 წლებში ხელმძღვანელობდა პროფესორი ეფრემ ზაქარაია,
1935 – 1939 წლებში პროფესორი ილია ახმეტელი, 1939 – 1969 წლებში პროფესორი ერმალო თოდაძე, 1969 – 1973 წლებში პროფესორი ოთარ ჭუმბურიძე, 1973 – 1975 წლებში პროფესორი ზურაბ ზოდელავა, 1977 – 1997 წლებში პროფესორი სერგო ხუნდაძე, 1997 – 2006 წლებში პროფესორი რევაზ მაღალაშვილი. 2006 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა ორი მიმართულება: „კერძო ქირურგიის“ და „ქირურგიის“. ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელად 2006 – 2009 წლებში არჩეული იყო პროფესორი ლეონიდე თოხაძე. 2009 წელს მიმართულების ხელმძღვანელად არჩეულ იქნა საქართველოს ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ამერიკის ქირურგთა კოლეჯის წევრი, პროფესორი ბაადურ მოსიძე. 2012 წლიდან ქირურგიის მიმართულებას ეწოდა ქირურგიის N3 დეპარტამენტი, ხოლო 2020 წლიდან დღემდე - ქირურგიის N1 დეპარტამენტი. ამჟამად აღნიშნულ დეპარტამენტს პროფესორი ზაზა დემეტრაშვილი ხელმძღვანელობს.

ქირურგიის №1 დეპარტამენტი აკადემიურ საქმიანობას ახორციელებს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე დამტკიცებული სილაბუსის მიხედვით, მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის, სტომატოლოგიური და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების III კურსის სტუდენტთათვის. დეპარტამენტის პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ დიპლომისშემდგომი განათლების (ზოგადი ქირურგიის რეზიდენტურა) პროცესში. პროფესორ ზაზა დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით დეპარტამენტში სრულდება სადოქტორო პროგრამები, იგი 2018 წელს არჩეულ იქნა ამერიკის ქირურგთა კოლეჯის წევრად.